„ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამისა და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, შეიქმნას სამართლებრივი საფუძველი, იმ სამედიცინო მომსახურების დაფინანსებისთვის, რომელიც არ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამით ან კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ, აგრეთვე მომსახურების იმ ნაწილის დაფინანსებისათვის, რომელიც ნაწილობრივი დაფინანსებისას არ/ან ანაზღაურდება საყოველთაო ჯანდაცვისა და სხვა სახის დაზღვევით.

ა.ბ) დადგენილების პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

დადგენილებით მტკიცდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (არანაკლებ 3 თვისა) მოსახლეობის აგრეთვე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები, დროებით რეგისტრირებული, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისათვის – დევნილებისათვის სამედიცინო მომსახურების ქვეპროგრამები, დგინდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან იმ სამედიცინო მომსახურების დაფინანსების სამართლებრივ საფუძვლები, რომელიც არ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამით ან კერძო სადაზღვეო კომპანიების მიერ, აგრეთვე მომსახურების იმ ნაწილის დაფინანსების სამართლებრივი საფუძველი, რომელიც ნაწილობრივი დაფინანსებისას არ ანაზღაურდება საყოველთაო ჯანდაცვისა და სხვა სახის დაზღვევით.

დადგენილების მიღების ძირითადი დანიშნულებაა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება/გაუმჯობესება და სიცოცხლის გახანგრძლივებაზე ზრუნვა.

ბ) დადგენილების პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი.

ბ.ბ) დადგენილების მიღება გავლენას მოახდენს მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.გ) დადგენილების მიღება არ გამოიწვევს მუნიციპალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

გ) დადგენილების პროექტის ავტორი:

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.

დ) დადგენილების პროექტის ინიციატორი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი, ზვიადი მხეიძე.

ე) დადგენილების პროექტის მიღების სავარაუდო ვადა:

2020 წლის დეკემბერი.